განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასება განხორციელდა 2019 წლის 30 მაისს

დასკვნა წარდგენილია 2019 წლის 20 ივნისს

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში 0705 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შოთა დოღონაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლიკა ტვილდიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2009 წლიდან (დამტკიცებულ იქნა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით N 01/05 –111. აკრედიტაცია მიენიჭა 2009 წლის 7 აგვისტოს №111 გადაწყვეტილების საფუძველზე. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N 01/01-41 ბრძანებით, დამტკიცდა პროგრამული ცვლილებები და 2014 წლის 21 ივლისს, №17 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია საგანმანათლებლო პროგრამას სახელწოდებით: საერთაშორისო ურთიერთობები; მისანიჭებელი კვალიფიკაცია სოციალური მეცნიერების ბაკალავრი საერტაშორისო ურთიერთოვაში, კვალიფიკაციის კოდი 0705.

ამჟამად ხელახალი აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, განახლებული, ახალი დასახელებით - „დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები“ (კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2019 წლის 17 მაისის #01/01-41 ბრძანება). მისნიჭებელი კვალიფიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის # 120 ნ ბრძანების შესაბამისად დარჩა უცვლელი - სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობაში, კვალიფიკაციის კოდით 0705..

დასახელების შეცვლასთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დახვეწისა და განვითარების თვალსაზრისით. განხორციელდა სპეციალობისთვის აუცილებელი სასწავლო კურსების დამატება, არჩევითი და სავალდებულო კურსების კორექტირება.

საგულისხმოა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის საფუძველზე, განახლებული იქნა ზოგიერთი სასწავლო კურსი, მოხდა ახალი კურსების დამატება.

გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რასაც ხელი შეუწყო ერაზმუს + პროექტ PESTUGE მონაწილეობამ. ამასთან, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი: შესავალი მშვიდობის კვლევებში (კოდი IPS 0050). ასევე, მშვიდობის სწავლების ხედვებისა და მიდგომების საფუძველზე განახლდა შემდეგი კურსები: საქართველოს ისტორია (კოდი HIST 0003), საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები (კოდი INTS 3150).

პროექტმა ხელი შეუწყო ომის, მშვიდობისა და კონფლიქტის საკითხებზე კავკასიის უნივერსიტეტში თანამედროვე სასწავლო კურსების, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურისა და სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვას, ლექტორების პროფესიულ ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ხორციელდებოდა ამ სფეროში ოთხი წამყვანი ევროპული უნივერსიტეტის ჩართულობით, ხდება დადებითი პრაქტიკის ურთიერთგაზიარება.

2018 წელს შეიცვალა პროგრამის სახელწოდება და პროგრამას დაერქვა „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა“, რაც პასუხობს პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს, შესაბამისად ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე დონისთვის შესაფერისი ბაკალავრების მომზადებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დეტალურად ასახულია თვითშეფასების ანგარიშში, პასუხობს სტუდენტთა სურვილებს, რომლებიც მათ გამოთქმული აქვთ უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მართვის სკოლის, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებისთვის და აღნიშნეს ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 მაისს. ვიზიტამდე, 27 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (შოთა დოღონაძე, ივანნა მაჩიტაძე, ლიკა ტვილდიანი) 14:00 საათიდან 17:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

30 მაისს შპს კავკასიის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (ვიცე-პრეზიდენტი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი), თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან (ფინანსური ანალიზის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის დირექტორი, სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, პროგრამების დირექტორი და პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი), პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს თუმცა 2.4 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი შესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები:**
  - რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის დამატება, რაც ხელს შეუქყობს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი უნარების გაძლიერებას.
  - რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება V-VIII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსებში და შემლებისდაგვარად პრაქტიკის

უზრუნველყოფა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში სასურველია უარი ითქვას მოდულების ფორმირებაზე და პროგრამაში იყოს მხოლოდ საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (რამდენადაც ისინი კვალიფიკაციის დაუფლებაში საჭირო როლს ასრულებენ), სავალდებულო სასწავლო კურსების და არჩევითი საგნების ის სპექტრი, რომელსაც პროგრამა თავაზობს სტუდენტებს;
- სასურველია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის სია, განახლებისა და შესასწავლი მასალის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად უკეთ იქნეს გამოყენებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკმაოდ სოლიდური შესაძლებლობა.
- ლექტორების მხრიდან სტუდენტებისთვის უკუგების პროცესის გაუმჯობესება, მათ შორის, ისეთი ელექტრონული პლატფორმების უფრო ფართოდ დანერგვისა და გამოყენების გზით თითოეულ კურსში, როგორიცაა "Moodle". ასევე, სწავლების ახალი მეთოდოლოგიის ფართოდ დანერგვა, როგორიცაა მაგ. Flipped class roon ან PBL მეთოდი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის ბაზაზე, რაც საშუალებას იძლევა განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტების, როგორც საჯარო სამსახურის მომავალი შევსების საკითხებზე. ამასთან პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ყველა იმ მიღწევითა და სიკეთით, რაც წლების მანძილზე დაგროვილია უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლაში ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფარგლებში პროგრამის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმული ერაზმუს + პროექტ PESTUGE - ის განხორციელებაში, რამაც პროგრამის მნიშვნელოვანი წინსვლა განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ნაშრომის შეფასების პროცესში მხარდამჭერი სისტემები (moodle, Turnitin), რაც ხელს უწყობს პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალურად აღმოფხვრას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კავკასიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2014 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რჩევები და რეკომენდაციები. სახეზეა პროგრამის განვითარება, ტენდენციები, რომელიც გამოსახულია შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიმართულებით. საინტერესო გამოცდილება იქნა დაგროვილი უცხოეთის ქვეყნებში პროგრამის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ვიზიტების დროს. მოკვლეული მასალა, სტუდენტთა სტაჟირებით მიღებული ცოდნა ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რაც ნიშნავს კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.<br><br>დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების ფართე ცოდნა; აცნობიერებს სპეციალობის ინტერდისციპლინურ ბუნებას და აქვს მომიჯნავე დისციპლინების ცოდნა; ესმის საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა და გააჩნია დარგისთვის დამახასიათებელი კვლევითი და პრაქტიკული უნარები; შეუძლია საერთაშორისო პოლიტიკაში ისტორიული და მიმდინარე პროცესების გააზრება და სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სხვადასხვა აქტორის, მათ შორის, საქართველოს ინტერესების განსაზღვრა; შეუძლია თავისუფალი კომუნიკაცია, მათ შორის უცხოურ ენაზე.<br><br>პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ სამსახურში. პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.<br><br>პროგრამის მიზანი რეალურია, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა და მისი შემდგომი გაუმჯობესება დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე. უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და ასევე იყენებს მეორად მონაცემებს ანალიზისა და ტენდენციის გამოსავლენად, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესება განახლების პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;<br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დებულება; |

- კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის №01/01-51 ბრძანება „კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ“;
- კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 14 დეკემბრის №01/01-48 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;
- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
- ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტების შესახებ (იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდი და პროექტების ვებგვერდი: www.cu.edu.ge; https://www.cu.edu.ge/ka/grant-projects/ongoing-projects/jean-monnet-chair)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საერთაშორისო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამა იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემების კვლევებსა და სწავლებაზე ორიენტირებული ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებისა და სკოლების საუკეთესო პრაქტიკას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები. თავის მხრივ პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით, რომელიც შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს 2.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით.

სწავლის შედეგების რუკა შედგენილია დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად, რომელიც შედგება:

ა) სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების მეთოდოლოგიისა და გეგმისგან;

ბ) პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართებისა და მათი მიღწევის შეფასების დონეებისგან;

გ) სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებისგან;

დ) პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკისგან:

ე) მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი რუკით ნათლად ჩანს სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა და კავშირი სწავლის შედეგებთან. საგნის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის დაყოფილი სამ დონედ: მაღალი, საშუალო, დაბალი. კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2018 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით N07 დამტკიცებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტის შეფასების მიმდინარე აქტივობებით, შუა სემესტრული და დასკვნითი გამოცდით. სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის მიმდინარე რეჟიმში გამოიყენება სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვებისა და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემთა ანალიზი. აღნიშნული მონაცემების, ასევე დარგის განვითარებისა და საბაზრო მთხოვნების კვალდაკვალ, მუდმივ რეჟიმში ხდება პროგრამის კურიკულუმის განახლება, ისევე, როგორც სასწავლო კურსების განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;

| |
|---|
| ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>საინტერესოა 2018 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები- პროგრამაზე სწავლის დონით ჯამში კმაყოფილია კურსდამთავრებულების 92,5%. ასევე, 2018 წლის სტუდენტების გამოკითხვის შედეგების თანახმად, პროგრამაზე სწავლით კმაყოფილია სტუდენტების 83,7%. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| აღწერა და შეფასება<br><br>დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის მოთხოვნაა უცხოური ენის - ინგლისური ენის ჩაბარება.<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.<br><br>დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე ისე უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.cu.edu.ge, განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, სკოლებსა და რესურს-ცენტრებში ინფორმაციის გავრცელებით.<br><br>უნივერსიტეტი ატარებს ღონისძიებათა კომპლექსს, იმ მიზნით, რომ დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია კავკასიის უნივერსიტეტისა და მის მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამების თაობაზე. უნივერსიტეტის ამ მიმართულებით საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ ტრენინგი აბიტურიენტებისთვის - „მოლაპარაკებების ხელოვნება“ https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg-applikants-negotiation<br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის გვერდი მიღების წინაპირობების შესახებ: <https://cu.edu.ge/schoolss/csg/programs-csg/bachelor-csg/international-relations-bachelor-csg>.<br>○ გასაუბრება დაინტერესებულ პირებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს. მეორე ნაწილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, ხოლო მესამე ნაწილი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. პროგრამის მესამე ნაწილი მოიცავს შემდეგ ძირითად მუხლებს, კერძოდ: 1. პროგრამის მიზნების დადგენა; 2. პროგრამის ადგილის განსაზღვრა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში; 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დადგენა; 4. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა; 5. პროგრამის ძირითადი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა კრედიტების საშუალებით; 6. სწავლა სწავლების მეთოდის დადგენა; 7. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის აღწერა; 8. პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო რესურსების არსებობის დადგენა. 9. პროგრამის მდგრადობის პროგნოზირება. 10. სასწავლო კურსების პროგრამების - სილაბუსების შემუშავება. |

პროგრამა თანმიმდევრული და ლოგიკურია. ყველა სასწავლო კურსში, სადაც ეს აუცილებელია, მითითებულია საგნის შესწავლის წინაპირობა. საგანი, რომელსაც გააჩნია წინაპირობა ლოგიკურად აგრძელებს მოცემული მასალის გაღრმავებულად დაუფლებას.

სავალდებულო საგნები წარმოდგენილია ორ ჯგუფად: საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სავალდებულო საგნების ჯგუფი და სავალდებულო საგნების მოდული. ეს დისციპლინები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას. არჩევითი საგნები, ასევე დაჯგუფებულია: მოდულის სახით და თავისუფალი კომპონენტების სახით.

თავისუფალი კრედიტები (20 ECTS) სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას უქმნის თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ჩაეთვალოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. მათ შორის:

წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ამასთან, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 240 ECTS კრედიტის განაწილების სქემა:

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. მათ შორის:

ა) 15 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები

ბ) 20 კრედიტი - ინგლისური ენა

გ) 20 კრედიტი - მეორე უცხო ენა

დ) 125 კრედიტი - დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები

180 ECTS კრედიტის გარდა, სტუდენტს საშუალება ეძლევა დანარჩენი 60 ECTS კრედიტი აირჩიოს: 60 ECTS კრედიტის ოდენობის სასწავლო კურსები ამავე პროგრამით

| |
|---|
| გათვალისწინებული დარგობრივი არჩევითი მოდულიდან და/ან არაუმეტეს 20 თავისუფალი კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.<br><br>დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე.<br><br>უცხოური ენების კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის, და მეორე ენის, როგორც დამხმარე ენის, სწავლების უზრუნველყოფაზე.<br><br>მეორე უცხოურ ენად სტუდენტი, სურვილისამებრ, შეისწავლის ფრანგულ/გერმანულ/ესპანურ/რუსულ/თურქულ ენებს. მეორე უცხო ენაში B1 და მეტი დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მეორე უცხო ენის სწავლების 20 კრედიტის ნაცვლად აირჩიოს საგნები დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნებიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.<br>○ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან; |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ის, რომ მის უშუალო განხორციელებაში ჩართულები არიან პოტენციური დამსაქმებლები მოწვეული ლექტორების რანგში, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტების უნარ-ჩვევების კიდევ უფრო მეტად დახვეწას დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

სასწავლო კურსის შინაარსი დაფუძნებულია ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაზე, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სასწავლო კურსების უმრავლესობაში დიდი მოცულობისაა, ბევრ შემთხვევაში მითითებულია ძველი გამოცემები, როდესაც ანალოგიური ლიტერატურის მოგვანებითი, უფრო ახალი გამოცემები არსებობს. (მაგალითად, სასწავლო კურსები: „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“; „ამერიკის ქვეყნების პოლიტიკა და კონფლიქტები“; „ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები“; „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“; „საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები“; „სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა“

ზოგიერთ სილაბუსში ძირითად და დამხმარე ლიტერატურად მითითებულია ინგლისურენოვანი წყაროები, მაშინ, როდესაც სილაბუსში ნაჩვენები არ არის წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის დონე. ( მაგ. სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“; „საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები“). ექსპერტთა ჯგუფს არადამაჯერებელად მიაჩნია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ არგუმენტად იმის მოტანა, რომ ინგლისური ენის გარკვეული დონე სტუდენტებს მოეთხოვებათ პროგრაგრამაზე შემოსვლისას, მოგვიანებით კი მიმდინარეობს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება. რამდენადაც, ინგლისურიენიც ცოდნის დონე ცალკეულ სტუდენტთა შორის განსხვავებულია, ხოლო ლიტერატურაზე დამოულიდებელი მუშაობა განსაკუთრებულ უნარებს საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის (მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი).
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;

| |
|---|
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის სია, განახლებისა და შესასწავლი მასალის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად უკეთ იქნეს გამოყენებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკმაოდ სოლიდური შესაძლებლობა. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>კავკასიის უნივერსიტეტში ყურადღება ეთმობა აკადემიური სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპს. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საგანმანათლებლო პროგრამაც აღნიშნული პრინციპის ლოგიკითაა შედგენილი. პროგრამა |

უზრუნველყოფს, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვას.

ინტერვიურების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი უნარების მიღწევას ემსახურება დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსების არსებობა, როგორიცაა „აკადემიური წერა“, „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები.“

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს კავკასიის უნივერსიტეტში ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანია მისცეს სტუდენტს ამ მიმართებით საჭირო უნარ-ჩვევები, წაახალისოს ახალგაზრდა მკვლევრები შემდგომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩასართავად; გამოუმუშავოს მათ დამოუკიდებელი კვლევის წარმოებისთვის საჭირო ჩვევები და მიღებული შედეგების პრეზენტაციისა და დაცვის უნარი.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მართვის სკოლას, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევის უნარების განვითარებისთვის სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა აკავშირებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია არაერთ სახელმწიფო სტრუქტურასთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან. სხვადასხვა შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების წარმართვის გზით. ამავე მიზანს ემსახურება სკოლის არაერთი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი:

ჟან მონეს კათედრა (Jean Monnet Chair), რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ერაზმუს+ ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ქმნის დამატებით გარემოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამოსამუშავებლად შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით;
ყოველწლიური საზაფხულო სკოლა: „ევროინტეგრაციის შესახებ სწავლების ხელშეწყობა და ევროკავშირის შესახებ ცნობიერების ამაღლება საქართველოში“;
ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე წამყვანი სპიკერების მოწვევა უნივერსიტეტში;
სტუდენტური სასკოლო კონფერენციის ორგანიზება;
სტუდენტური საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება.
2016 წელს, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის ინიციატივით, შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი (ოთხი ევროპული და ოთხი ქართული უნივერსიტეტის მონაწილეობით), რომელმაც მიიღო ევროკავშირის ერაზმუს+ პროგრამის დაფინანსება 3 წლიანი პროექტისთვის - „საქართველოში მშვიდობის კვლევების სამაგისტრო მოდულის შექმნა“ (Creation of the Graduate Curricula in Peace Studies in Georgia, PESTUGE). აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტში დაინერგა მშვიდობის კვლევების მოდულები: შემუშავდა ოთხი ახალი საგანი და თანამედროვე მასალებსა და მიდგომებზე დაყრდნობით განახლდა ოთხი სასწავლო კურსი. მოხდა ქართველ პროფესორებსა და ევროპელ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება და მშვიდობის კვლევების დისციპლინისთვის დამახასიათებელი აკადემიური პრაქტიკის დანერგვა.

პროექტის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტში დაარსდა მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი, რომლის შესაძლებლობები აქტიურად გამოიყენება დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ.

პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა სახელმწიფო მართვის სკოლის ფარგლებში მონაწილეობს Erasmus+ CBHE ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის პროექტში „აკადემიური

| |
|---|
| კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)“.<br><br>მიუხედავად აღნიშნულისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომების შესრულებას.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელის განმარტება იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საბაკალავრო ნაშრომების შესრულების პრაქტიკის შემოღებას დამაჯერებელი და გასათვალისწინებელი ვერ იქნება.<br><br>ასევე, გასაძლიერებელია სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტები და შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ბაკალავრთა პრაქტიკის ორგანიზაციის საკითხები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;<br>○ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები;<br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>○ ვორკშოპი სტუდენტებისთვის - როგორ მოვემზადოთ კონფერენციისთვის სოციალურ მეცნიერებებში? იხ. საინფორმაციო ბმული: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg-cu-workshop<br>○ ინფორმაცია CSG-ის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების შესახებ წლების მიხედვით:<br>○ 2018: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/cu-csg-conference<br>○ 2017: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg-conference<br>○ 2016: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg--3739<br>○ ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი პროექტების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს სკოლის სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განმტკიცებას:<br>○ ჟან მონეს კათედრის საზაფხულო სკოლები:<br>○ 1. https://cu.edu.ge/ka/grant-projects/cu-grant-projects-news/csg-summer-school<br>2. https://cu.edu.ge/en/news-page/csg-jean-monnet-project-summer-school<br>○ მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის აქტივობები - მშვიდობის საერთაშორისო კონფერენცია: https://cu.edu.ge/schoolss/csg/siakhleebi/pestuge-tipc-cu<br>○ პროექტი Integrity: https://cu.edu.ge/en/grant-projects/ongoing-projects/capacity-building-erasmus/erasmusintegrity-activ<br>○ სტუდენტთა მიერ განხორციელებული პრაქტიკების შესახებ ინფორმაცია: https://cu.edu.ge/schoolss/csg/siakhleebi/csg-pestuge-practice.<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ;<br>○ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან; |
| რეკომენდაციები:<br><br>- კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების, სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომების მომზადების პრაქტიკის დანერგვა;<br><br>- რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება V-VIII სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსებში და შეძლებისდაგვარად პრაქტიკის უზრუნველყოფა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები. |

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია უნივერსიტეტმა მეტად იზრუნოს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაზე სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირებების ორგანიზებისთვის, გააფორმოს შესაბამისი მემორანდუმები. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის სფეროს ფართო ცოდნის მინიჭებაზე, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; სწორედ ამ მიზანს ემსახურება სასწავლო პროცესში მოწვეული სტუმრების პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა და მრგვალი მაგიდების ჩართვა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაესწრონ გამოცდილი ადგილობრივი თუ უცხოელი პრაქტიკოსების საუბრებს და ინფორმაცია მიიღონ იმ მიდგომებზე, მეთოდებზე, ტენდენციებზე, რომლებიც დღეს აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. ლექციებზე და ნებისმიერი ტიპის სემინარებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ადგილისა და როლის განხილვას საერთაშორისო თანამეგობრობის კონტექსტში.<br><br>საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსის შეთავაზებისას პედაგოგები იყენებენ შემდეგი სწავლის |

| |
|---|
| მეთოდების კომბინაციას: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები  და სხვა.<br><br>სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა და ა.შ) გამოკითხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.<br><br>პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, მოცემული კურსის შეინაარსს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.<br>○ ინფორაცია სასკოლო კონფერენციების შესახებ:<br>○ სახელმწიფო მართვის სკოლაში პროგრამის ფარგლებში მოწვეული სპიკერებისა თუ სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელებული გასვლითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi<br>○ ინტერვიუები სტუდენტრებთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით.

განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო

| |
|---|
| შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59% (სულ მცირე 51% პირველი დონის სტუდენტებისთვის), რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60% (სულ მცირე 51% პირველი დონის სტუდენტებისთვის).<br><br>სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.<br><br>საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ შეფასების ელექტრონული უწყისები;<br>○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;<br>○ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსები. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br>ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ, ინტერვიუების პროცესში, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სტუდენტები, დადგინდა, რომ პროგრამის დახვეწის პროცესში ადგილი აქვს სტუდენტებთან აქტიურ თანაშრომლობას. სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება ხდება არა მარტო სასწავლო კურსების ჩანაცვლებისა და შემოღების საკითხებზე, არამედ სწავლის მეთოდების დახვეწის პრობლემატიკაზე.<br>სტუდენტებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გაირკვა, რომ სტუდენტებს ნებისმიერ დროს აქვთ სკოლის ადმინისტრაციასთან წვდომის შესაძლებლობა, რაც მაქსიმალურად ეხმარებათ მათ პრობლემების აღმოფხვრასა და მათი თქმით, სხვადასხვა პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში. |

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ასევე ვლინდება, რომ სტუდენტის პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციის და დახმარების საქმეში ხელმძღვანელობა ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი პრაქტიკით. კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც თავმოყრილია ყველა აუცილებელი ინფორმაცია უნივერსიტეტის სკოლებში მოქმედი პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს აკადემიური მენეჯერისგან და პროგრამების დირექტორისგან მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

სასწავლო კურსების გავლის ფარგლებში, სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური კონსულტაციები მიიღოს თითოეული კურსის ლექტორისგან. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია, მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსშიც, სადაც არის მითითება ლექტორების მხრიდან კონსულტაციებზე, თუმცა საკონსულტაციო საათების მითითების ნაცვლად აღნიშნულია, რომ კონსულტაციები იგეგმება სტუდენტებთან შეთანხმებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მზადაა გაუწიოს კონსულტირება და ხელმძღვანელობა კვლევებსა და კონფერენციებში ჩართულ სტუდენტებს, რისი წარმატებული პრაქტიკაც წლებია არსებობს კავკასიის უნივერსიტეტში, რაც გამოვლინდა და დადასტურდა, როგორც ლექტორებთან ინტერვიუების, ასევე სტუდენტებთან საუბრის დროს.

სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე ხდება მისი ჩართვა შიდა საინფორმაციო ქსელებში. საორიენტაციო ტრენინგზე მათ გადაეცემათ საუნივერსიტეტო მეილი, რაც იძლევა შესაძლებლობას, სრულფასოვნად იყვნენ ინტეგრირებული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში და დაუბრკოლებლად მიეწოდოთ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შიდა ქსელებით ვრცელდება.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა.

აღსანიშნავია ასევე, რომ უნივერსიტეტში მოქმედი კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფს სტუდენტებს ინფორმაციით სხვადასხვა სახის ვაკანსიების შესახებ.

სტუდენტთა გამოკითხვითაც დასტურდება საუნინვერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების მაღალი დონე: (94,2 % თვლის, რომ პროგრამის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, ამასთან უნივერსიტეტის სერვისებით კმაყოფილებას გამოხატავს გამოკითხულთა 87,2 %).

სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც ინტერვიუ ჰქონდათ ჯგუფთან, ასევე კმაყოფილებას გამოხატავენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მზადყოფნაზე ყველა საჭირბოროტო საკითხზე გასცენ სტუდენტს დროული და ამომწურავი პასუხი და აღმოუჩინონ დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტთა დასაქმების სამსახურის დებულება;

- სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტების ომბუდსმენის ოფისი;
- კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულება;
- გასაუბრების შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

უცხოელ პარტნიორთა ფართო ქსელის არსებობა უნივერსიტეტისთვის, რაც იძლევა სტუდენტის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას და ამ კუთხით მიმდინარე კონსულტირებას შესაბამისი დეპარტამენტის ჩართულობით.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

**მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება მათ მიერ უახლოეს წარსულში გამოცემული სტატიებით, სახელმძღვანელოებით და/ან მონოგრაფიით.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის განვითარებისათვის საჭირო გამოცდილება და ცოდნა, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ, როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალთან, რაც საერთო ჯამში, ვთვლით, რომ პროგრამის მდგრადობის გარანტიასაც წარმოადგენს. ხელმძღვანელები ჩართულნი არიან, როგორც პროგრამის შემუშავება-შეფასებასა და განხორციელებაში, ასევე პასუხისმგებლები არიან პროგრამის შინაარსის და საუნივერსიტეტო ზოგადი ხარისხის კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაზე.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 49 აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი და 31 მოწვეული ლექტორი), რომელთა კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს.<br><br>საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ საგარეო პოლიტიკის სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, მიღებული აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხი და გააჩნიათ შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები.<br><br>საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი; |

| |
|---|
| ○ პერსონალის მართვის პოლიტიკა;<br>○ პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცების ბრძანება;<br>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება სპეციალობის ამ სფეროში სასწავლო სტანდარტების, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების თუ სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავებასა და დანერგვას, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მდიდარ გამოცდილებასა და მიმდინარე პრაქტიკას. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

| |
|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>დაწესებულება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ატარებს, როგორც საჭიროებათა კვლევას, ისე სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული კვლევები დაწესებულებას საშუალებას აძლევს შეაფასოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი.<br><br>დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების სისტემა, რომელიც, უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის ჩართვას სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსებში. ძირითად თემატიკას წარმოადგენს სასწავლო პროცესთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.<br><br>უსდ ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში, ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ხარჯებიც (სტატიების გამოქვეყნებისათვის, კრებულების გამოცემისათვის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯები).<br><br>2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან ერთად მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD“, რომლის იმპლემენტაციის ფარგლებში უნივერსიტეტს ექნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა.<br><br>ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს საერთაშორისო დონის სხვადასხვა ფორმატის და ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულია კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში ორჯერ - დეკემბერში და ივნისში ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად. საკონკურსო კომისია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების დეკანებისა და დარგის გარე ექსპერტების მონაწილეობით, შეარჩევს დასაფინანსებელ პროექტებს. უკვე დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი (პროგრამულ ნაწილში) და საფინანსო დეპარტამენტი (ფინანსურ ნაწილში).<br><br>ჩვენს მიერ ადგილზე ინახა თუ რა სერვისებს თავაზობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ბიბლიოთეკის მიერ დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილია წვდომა სოლიდურ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ პერსონალის მართვის პოლიტიკა;<br>○ კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის;<br>○ საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;<br>○ მემორანდუმები, შეთანხმებები;<br>○ კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ 2018 წლის ანგარიში; |

- მონაწილეობა Erasmus + ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD“;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ: https://www.cu.edu.ge/ka/news-page
- ~ინტერვიუ დაინტერესებულ პირებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემო, რომელშიც კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს უწევთ სწავლა. ეს არის უმაღლეს დონეზე აღჭურვილი, ნათელი და სასწავლო პროცესზე მორგებული აუდიტორიები, ასევე ბიბლიოთეკა, კვების ბლოკები, სხვა სივრცეები, უნივერსიტეტის ულამაზესი ეზო და ყველა საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვილი გადაადგილების საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონტიგენტისთვის.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის დარბაზი;
კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 12 290 ერთეული ბეჭდური და 3192 ერთეული ელექტრონული რესურსი). ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლების დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

Cambridge Journals Online

BioOne Complete
e-Duke Journals Scholarly Collection
Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book
IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche)
Openedition Journals
Royal Society Journals Collection
Taylor And Francis Online
EBSCO Elit package
International Security & Counter Terrorism Reference Center

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე ფუნქციონირებს რვა კომპიუტერული კლასი, რომლებიც პერსონალური კომპიუტერებით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Nortel"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსი;<br>o წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიურ ბაზებზე;<br><br>○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
|---|
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

| |
|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:<br><br>სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს;<br><br>- სასწავლო სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა);<br>- სალექციო საათების ანაზღაურებას;<br>- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას;<br>- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს;<br>- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს;<br>- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.<br><br>ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას.<br><br>პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება. პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანებით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| **5.1** შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით: "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში, რაც გულისხმობს პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების პროცესის განხორციელებას და შეფასების შედეგების გამოყენებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი. საბუთებით დასტურდება პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით შეფასების პროცესის მონაწილე მხარეების შეხვედრები და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული განხილვები. ხდება შეფასების პროცესში გამოკვეთილი შედეგების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით. ჩართულობა დადასტურდა ინტერვიუების დროსაც, მონაწილეებმა დაასახელეს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები და ცვლილებები რაც მათი ინიციატივით, ერთობლივი განხილვითა და შეფასების პროცესების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საფუძვლებზე განხორციელდა პროგრამაში. |

| |
|---|
| პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის ხარისხის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ დასახელებული ნაკლოვანებების გათვალისწინებას.<br><br>ასევე, გამოიკვეთა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა.<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2018 წლის 24 ივლისს N 07/01-20 ბრძანებით დამტკიცებულია და მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხარისხის კულტურა.<br><br>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და იღებს მისგან საჭირო კონსულტაციას. დეპარტამენტი რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როდესაც შეფასების შედეგები საჭიროებს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;<br>○ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები;<br>○ განხორციელებული შეფასების შედეგები და ცვლილებები;<br>○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;<br>○ ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაადასტურა გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობა. სამსახურთან შეხვედრისას გარე ხარისხის შეფასების მაგალითად დასახელდა აუდიტის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევა. სამსახურის მიერ ასევე მოხდა კვლევის ანგარიშში გამოკვეთილი ნაკლოვანებებისა და კვლევის შედეგად მიღებულ რეკომენდაციების დასახელება რის გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაში და დასტურდება პროგრამით და სილაბუსებით. კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

ასევე, დასტურდება პროგრამის შეფასების მიზნით კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების. უნივერსიტეტი სათანადოდ აფასებს და ითვალისწინებს მიღებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სკოლის საბჭოს ოქმი №19;
- უცხოელ პროფესორთა ვიზიტისა და ჩართულობის ამსახველი ინფორმაცია:
- კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლამ დუბლინის, ტრინიტისა და ინსბრუკის უნივერსიტეტების პროფესორებსა და სასწავლო პროგრამების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://cu.edu.ge/schoolss/csg/siakhleebi/csg-erasmus-pestuge
- სამუშაო ვიზიტი პროექტის PESTUGE ფარგლებში. ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://cu.edu.ge/news-page/cu-ir-pestuge1
- ევროპელ პარტნიორთა სამუშაო ვიზიტი პროექტ PESTUGE ფარგლებში. ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://cu.edu.ge/grant-projects/cu-grant-projects-news/ir-cu-pestuge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>წარმოდგენილი და ადგილზე არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ხდება პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ. ინტერვიუების დროს გამოკითხულთა მიერ დასტურდება შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნით. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მიერ ერთხმად დასახელდა მათი რჩევის საფუძველზე პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების ცვლილებები და ახალი სასწავლო კურსების დამატების მაგალითები.<br><br>სისტემატიური სახე აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების პრაქტიკას.<br><br>პერიოდულად ხდება პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება (ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების: დუბლინის უნივერსიტეტის, ტრინის კოლეჯის და ინსბრუკის უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამები), რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა;
- დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა;
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

შოთა დოღონაძე

აკრედიტაციის ჯგუფის წევრები:

ივანნა მაჩიტაძე

ლიკა ტვილდიანი